http://kancelaria.cloud.gov.ge/nomfileserver/GetFile?file_id=2059..

საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

KA000079559435716

№ 611-ს

05 / ივლისი / 2016 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №29 განკარგულების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1.გადაეცეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - დაბა ჩხოროწყუში, ცანავას ქუჩაზე მდებარე 22021.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, განაშენიანების ფართით -244.36 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №46.02.43.033) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრს“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში, ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრის“ ფუნქციონირების ვადით.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა